



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

ხარისხის მართვისა და ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
ხარისხის მართვა, საზომი ტექნიკა და ექსპერტიზა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
საინჟინრო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
საინჟინრო მეცნიერებათა მაგისტრი ხარისხის მართვის და ექსპერტიზის მიმართულებით

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი გია დადუნაშვილი
სრული პროფესორი კარლო მგალობლიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 899 33 46 23
E-mail: gdadunashvili@mail.ru

ქუთაისი
2008

პროგრამის მიზანი და ამოცანები:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს საზომი ტექნიკის და ექსპერტიზის სფეროში დამოუკიდებლად მომუშავე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს არა მარტო მის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტას, არამედ თვითონვე შეეძლება ახალი ამოცანების დასმა და მათი გადაწყვეტა. ხარისხის მართვა – ფართო მიმართულებაა, რომელიც მოიცავს ტექნიკის მრავალ სფეროს. მაგისტრანტები, რომლებიც მომზადებას გაივლიან ამ მიმართულებით, შეძლებენ მუშაობას საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა მეტად საჭირო დარგში.

მოსალოდნელი შედეგები:

სპეციალისტს ექნება ცოდნა შემდეგ საკითხებში:

- საერთო სპეციალური დისციპლინები, რომელიც უზრუნველყოფს ფართო პროფილის ინჟინერ-მეტროლოგის ბაზურ მომზადებას. საგანმანათლებლო და საერთო საინჟინრო დისციპლინები მოცულობით, რომელიც საჭიროა საწარმოო ამოცანების გადასაწყვეტად;

- ძირითადი გამზომი საშუალებები, ინფორმაციულ-გამზომი სისტემები და ავტომატური კონტროლის საშუალებები, მათი გამზომი რგოლის შემადგენლობა და ფუნქციონირება;

- გაზომვის შედეგების დამუშავების მათემატიკური მეთოდები, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით;

- გაზომვის შედეგების მეთოდების ანალიზი და მათი ცდომილებების შეფასება გაზომვათა საშუალებების დინამიური მახასიათებლების გავლენის გათვალისწინებით;

- გასაზომი ექსპერიმენტების მეთოდების ორგანიზაცია და დაგეგმვა და გამზომი საშუალებების შერჩევის ოპტიმიზაციის მეთოდი;

- გამზომი საშუალებების გამოცდის მეთოდები და მათზე მოქმედი ფაქტორების გავლენა;

- საწარმოო პირობებში მუშა ხელსაწყოების დამოწმების მეთოდების ორგანიზაცია და განხორციელება სანიმუშო ხელსაწყოებთან;

- ტექნიკური დოკუმენტაციის და გამოშვებული პროდუქციის მეტროლოგიური ექსპერტიზის მეთოდების ორგანიზაცია და განხორციელება;

- მეტროლოგიის კომპენტენციაში მყოფი სტანდარტები, ტექნიკური პირობები, ინსტრუქცია და დებულებები, რომლებიც აუცილებელია მოთხოვნილი გაზომვის სიზუსტისათვის და პროდუქციის ხარისხისათვის;

- პროდუქციის ხარისხის და მეტროლოგიის სფეროში პრინციპები და საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკა;

- ეკონომიკის საფუძვლები, შრომის ორგანიზაცია და წარმოების მართვა, მეტროლოგიის უზრუნველყოფის ამოცანების გათვალისწინებით, ახალი გამზომი საშუალებების დანერგვისათვის ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშების მეთოდები;

- გარემოსა და შრომის დაცვის საკითხები

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსის დასახელება	კრედიტების საერთო რაოდენობა	ECTS კრედიტების განაწილება			
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
სავალდებულო კურსი (მოდული)						
1	უცხო ენა	10	5	5		
2	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	5		5		
3	ექსპერიმენტთა ფიზიკური საფუძვლები	5	5			
4	ეტალონები და სანიმუშო მოწყობილობები	5	5			
5	პედაგოგია და ფსიქოლოგია	2,5	2,5			
6	მეტროლოგიის, ხარისხის მართვის და ექსპერტიზის ზოგადი მიმოხილვა	2,5	2,5			
7	მსოფლიო საინფორმაციო რესურსები	5	5			
8	ექსპერტიზა	5		5		
9	ანალოგური და ციფრული საზომი ტექნიკა და გაზომვები	10		5	5	
10	ელექტრული და მაგნიტური გაზომვები	5			5	
11	მათემატიკური მოდელირება საინჟინრო საქმეში	5		5		
12	ხარისხის მართვა	10				10
13	პრაქტიკა*	10				
13.1	სამეცნიერო პედაგოგიური პრაქტიკა				5	
13.2	სამეცნიერო კვლევითი პრაქტიკა					5
14	არჩევითი მოდული სადისერტაციო თემების მიხედვით	20			10	10
14.1	გარემოს, ნივთიერების, მასალებისა და ნაწარმის გაზომვისა და კონტროლის მეთოდები და საშუალებები					
14.2	ბიოსამედიცინო ინჟინერია. (სამედიცინო საზომი ხელსაწყოები და სისტემები)					
14.3	საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების მეტროლოგიური უზრუნველყოფა, ტექნიკური ექსპერტიზა და ხარისხის მართვა (შემოკლებით: საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიური ექსპერტიზა და მართვა)					
15	სამეცნიერო კვლევითი მუშაობა	20	5	5	5	5
ECTS კრედიტები						
სემესტრში სულ		120	30	30	30	30
კურსზე			60		60	

სასწავლო პრაქტიკა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა:

პრაქტიკის დასახელება	სემესტრი	კვირათა რაოდენობა	კრედიტი	შენიშვნა
სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა	3		5	
სამეცნიერო-კვლევითი (პროფესიული) პრაქტიკა	4		5	
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა	1,2,3,4		20	

სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.